თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს
2019 წლის 17 მაისის სხდომის

ო ქ მ ი N 4

2019 წლის 17 მაისს შედგა თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ სამეცნიერო საბჭოს წევრები, მთავარი მეცნიერი თანამშრომლები: **გიორგი ჭეიშვილი, ლევან გორდეზიანი, მარიამ ჩხარტიშვილი, ავთანდილ სონღულაშვილი, როლანდ თოფჩიშვილი, ლიანა ბითაძე, გიორგი ქავთარაძე, ვახტანგ გოილაძე, ეკა კვაჭანტირაძე, ვაჟა კიკნაძე, დოდო ჭუმბურიძე, ელდარ ბუბულაშვილი, ნიკოლოზ ჯავახიშვილი, ნინო მინდაძე, სალომე ოქრუაშვილი, ლავრენტი ჯანიაშვილი.** საბჭოს სხდომას ესწრებოდა სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობის ნახევარზე მეტი (**დანართი 1**).

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა დღის წესრიგი:

1. ინსტიტუტის დირექტორისა და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის სომხეთში სამეცნიერო მივლინების შედეგები;
2. ლორეს სამეცნიერო კონფერენციისათვის საორგანიზაციო ჯგუფის შექმნა;
3. მიმდინარე წლის მუშაობის შუალედური ანგარიში;
4. ინსტიტუტის მუშაობის ახალი მრავალწლიანი პროგრამა;
5. საორგანიზაციო ჯგუფის ფორმირება ინსტიტუტის სტრატეგიაზე სამუშაოდ;
6. კანდიდატურის წარდგენა იაკობ გოგებაშვილის პრემიაზე;
7. თანამშრომლობა ექვთიმე თაყაიშვილის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებასთან;
8. მიმდინარე საკითხები.

კენჭისყრის შედეგად, დღის წესრიგი ერთხმად იქნა მიღებული.

მოისმინეს:

1. ინსტიტუტის დირექტორისა და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის სომხეთში სამეცნიერო მივლინების შედეგები;
2. ლორეს სამეცნიერო კონფერენციისათვის საორგანიზაციო ჯგუფის შექმნა.

გიორგი ჭეიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, ინფორმაცია სომხეთში, ლორეში, გასამართი კონფერენციის შესახებ. აღნიშნა, რომ შარშან ჩატარდა კონფერენცია ჯავახეთში, წელს იგეგმება ლორეში. გვინდა, რომ ეს იყოს მუდმივმოქმედი ქართულ–სომხური დიალოგი, ამიტომ ჩვენ შევხვდით და ვისაუბრეთ სომხეთის ისტორიის ინსტიტუტის და არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირეტორებთან. ვინაიდან ჩვენი

ინსტიტუტი მრავალპროფლიანია, გვინდა, რომ ქართულ–სომხური დიალოგი მარტო ისტორიკოსებით არ შემოიფარგლოს და ჩვენი ინსტიტუტის სხვა თანამშრომლებმაც მიიღონ მონაწილეობა. ამ კონფერენციის ჩატარებაში სომხეთის ეთნოლოგიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტებიც ჩაერთვება. ხარჯებს, ტრანსპორტის გარდა, დაფარავს სომხური მხარე. კონფერენცია იქნება სამდღიანი. პირველი დღე დაეთმობა კულტურულ პროგრამას, მეორე და მესამე დღე კი, კონფერენციას. სავარაუდოდ, გვეყოლება 30 მომხსენებელი, 15 ქართული და 15 სომხური მხრიდან. კონფერენციის სათაური ზოგადია: „ქართულ–სომხური ურთიერთობები – წარსული და თანამედროვეობა". სომხებმა გამოთქვეს სურვილი მომავალში ამ ტიპის ღონისძიებებში აზერბაიჯანელების ჩართვისა, თუ აზერბაიჯანელები დაგვთანხმდებიან საქართველო უალტერნატივო იქნება ამ კონფერენციის ჩასატარებლად.

უნდა გამოვაცხადოთ თეზისების მიღება, საბოლოო შედეგი იქნება კრებული, რომელიც დაიბეჭდება როგორც სომხურ, ასევე ქართულ ენაზე, მასალა იქნება იდენტური. კონფერენცია ჩატარება, სავარაუდოდ, სექტემბრის ბოლოს. ასევე, საჭირო იქნება უკვე დასაბეჭდად გამზადებული კრებულის ქართული ვარიანტის რედაქტირება.

განყოფილების გამგეებს ვთხოვთ, საორგანიზაციო საკითხების მოსაგვარებლად, წამოაყენონ ერთი ისტორიკოსის და ერთი ეთნოლოგის კანდიდატურა.

გაიმართა მსჯელობა, **აზრი გამოთქვეს**: მარიამ ჩხარტიშვილმა, როლანდ თოფჩიშვილმა, ლევან გორდეზიანმა, ლავრენტი ჯანიაშვილმა. აღნიშნეს, რომ საჭიროა ტექსტების წაკითხვა, რათა ქართული და სომხური ტექსტი იყოს იდენტური.

დაადგინეს: განყოფილების გამგეებმა ერთი კვირის ვადაში მიაწოდონ სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს საორგანიზაციო საკითხების მოსაგვარებლად გამოყოფილ თანამშრომელთა გვარები.

3. მიმდინარე წლის მუშაობის შუალედური ანგარიში;
4. ინსტიტუტის მუშაობის ახალი მრავალწლიანი პროგრამა.

ლავრენტი ჯანიაშვილი: მოგეხსენებთ, წელს ინსტიტუტი ამთავრებს საგრანტო თემებზე მუშაობას, სექტემბერში განყოფილების გამგეებმა და მიმართულების ხელმძღვანელებმა წარმოვადგინოთ ინფორმაცია ჩატარებული სამუშაოს შესახებ და დამუშავებული ტექსტების პირველი ვარიანტი. ამავე დროს, ვიფიქროთ ახალ მრავალწლიან თემაზე.

გიორგი ჭეიშვილმა საბჭოს სხდომას შესთავაზა თემა: „საქართველოს საზღვრები". ეს იქნება კომპლექსური, მრავალწლიანი თემა. როგორი იყო ცხოვრება სასაზღვრო რეგიონებში, რა პროცესები მიმდინარეობდა, ეს არის ფართო თემა, სადაც იქნება ქვეთემები, რომელშიც ერთნაირად ჩაერთვება ყველა განყოფილება, დაწყებული ანთროპოლოგიით, დამთავრებული უახლესი ისტორიით, ეს არის თემა, რომელიც ძალიან მწვავედ დგას სახელმწიფოს წინაშე. ჩვენ უნდა ვაჩვენოთ სახელმწიფოს, რომ ვართ

ინსტიტუცია, რომელსაც შეუძლია სახელმწიოებრივი ამოცანების დამუშავება და დაძლევა.

გაიმართა მსჯელობა, **აზრი გამოთქვეს**: მარიამ ჩხარტიშვილმა, როლანდ თოფჩიშვილმა, ლევან გორდეზიანმა, ლავრენტი ჯანიაშვილმა. აღნიშნეს, რომ სასურველია 10 წლიანი თემის წარდგენა.

დაადგინეს: სექტემბერში განყოფილების გამგეებმა და მიმართულების ხელმძღვანელებმა წარმოადგინონ შესრულებული სამუშაოს პირველი ტექსტები, წარმოადგინონ თავიანთი ხედვა, ერთი თვის ვადაში მრავალწლიანი საგრანტო თემის კომპლექსური შესწავლის შესახებ.

5. საორგანიზაციო ჯგუფის ფორმირება ინსტიტუტის სტრატეგიაზე სამუშაოდ.

ლავრენტი ჯანიაშვილმა აღნიშნა, რომ ინსტიტუციური განვითარება საერთო ხედვის გარეშე წარმოუდგენელია, საჭიროა ინსტიტუტის სტრატეგიის შემუშავება. საფუძვლად ავიღოთ ბატონ გიორგი ჭეიშვილის მიერ შემუშავებული ინსტიტუტის განვითარების კონცეფცია. ვფიქრობ, აუცილებელი იქნება გარკვეული მუშა ჯგუფის შექმნა.

აზრი გამოთქვეს: მარიამ ჩხარტიშვილმა, როლანდ თოფჩიშვილმა, ლევან გორდეზიანმა, ლავრენტი ჯანიაშვილმა, ნინო მინდაძემ, ელდარ ბუბულაშვილმა.

დაადგინეს: ინსტიტუტის სტრატეგიის შესამუშავებლად შეიქმნას საორგანიზაციო მუშა ჯგუფი, რომლის წევრები იქნებიან განყოფილების გამგეები.

6. კანდიდატურის წარდგენა იაკობ გოგებაშვილის პრემიაზე.

თსუ-ში ტარდება იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია და გაიცემა იაკობ გოგებაშვილის პრემია. მოითხოვეს კანდიდატურების წარდგენა. ინსტიტუტიდან კანდიდატის შერჩევა მოხდება უნივერსიტეტის მიერ გამოგზავნილი კრიტერიუმების მიხედვით.

აზრი გამოთქვეს: ელდარ ბუბულაშვილმა, მარიამ ჩხარტიშვილმა, როლანდ თოფჩიშვილმა, ლევან გორდეზიანმა, ლავრენტი ჯანიაშვილმა, ვახტანგ გოილაძემ.

დაადგინეს: წარმოადგენილი იქნას კანდიდატურა იაკობ გოგებაშვილის პრემიაზე წარსადგენად.

7. თანამშრომლობა ექვთიმე თაყაიშვილის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებასთან.

ქალბატონი ნანა ხაზარაძის გარდაცვალების შემდეგ, ექვთიმე თაყაიშვილის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯომარედ აირჩიეს ბატონი ოთარ ჟორდანია. ბატონმა ოთარმა თხოვნით მოგვმართა, რათა ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლები გაწევრიანდნენ ამ საზოგადოებაში. ვფიქრობ, ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომლების ისტორიკოსების და ეთნოგრაფების მოვალეობაცაა ამ საზოგადოებაში გაწევრიანება. ამიტომ, გთხოვთ, განყოფილების გამგეებმა ინფორმაცია მიაწოდოთ თანამშრომლებს და სურვილის შემთხვევაში გავწევრიანდეთ და ვითანამშრომლოთ ექვთიმე თაყაიშვილის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებასთან.

აზრი გამოთქვეს: ელდარ ბუბულაშვილმა, მარიამ ჩხარტიშვილმა, როლანდ თოფჩიშვილმა, ლევან გორდეზიანმა, ლავრენტი ჯანიაშვილმა, ვახტანგ გოილაძემ, ეკა კვაჭანტირაძემ, ნინო მინდაძემ, სალომე ოქრუაშვილმა.

დაადგინეს: სურვილის შემთხვევაში, მოხდეს თანამშრომელთა გაწევრიანება ექვთიმე თაყაიშვილის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში.

8. *მიმდინარე საკითხები.*

ბატონმა ლავრენტი ჯანიაშვილმა საბჭოს სხდომაზე ისაუბრა, სარაევოში მივლინების შესახებ. აღნიშნა, რომ ნათია ჯალაბაძესთან ერთად, 7-9 მაისს დაესწრო „იბიარდის“ (EBRD) ყოველწლიურ კონფერენციას, სადაც მიწვეულნი იყვნენ ესპერტების რანგში. დაწყებულია რთული პროცესი, რომელიც ჰიდროენერგეტიკულ პროექტებთან ეთნიკური კონტექსტის დაკავშირებას და სვანების „ინდიგენურ ხალხად“ გამოცხადებას ეხება. როგორც ჩანს, საქართველოში მოქმედებენ კარგად გამოცდილი იმპერიული სტრატეგიით, რაც ერთიანი ქართული ეთნოსის დაქუცმაცებას გულისხმობს. კარგი იქნება, თუ მომავალ პარასკევს „საინსტიტუტო საუბრების“ ფორმატში განიხილავენ ამ პრობლემას.
ასევე, განიხილეს ინსტიტუტის ვებ-გვერდის რეორგანიზაციის მიმდინარეობის საკითხი.

სხდომამ დაადგინა:

1. ლორეს სამეცნიერო კონფერენციის საორგანიზაციო საკითხების მოსაგვარებლად შეიქმნას ჯგუფი ერთი ისტორიკოსის და ერთი ეთნოლოგის შემადგენლობით და განყოფილების გამგეებმა ერთი კვირის ვადაში მიაწოდონ სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად გამოყოფილ თანამშრომელთა გვარები.

2. განყოფილების გაამგეებმა და მიმართულების ხელმძღვანელებმა ერთი თვის ვადაში წარმოადგინონ თავიანთი ხედვა, მრავალწლიანი საინსტიტუტო საგრანტო თემის – „საქართველოს საზღვრები“, კომპლექსური შესწავლის შესახებ.
3. ინსტიტუტის სტრატეგიის შესამუშავებლად შეიქმნას საორგანიზაციო მუშა ჯგუფი, რომლის წევრები იქნებიან განყოფილებების გამგეები.
4. წარმოადგენილი იქნას კანდიდატურა იაკობ გოგებაშვილის პრემიაზე წარსადგენად.
5. სურვილის შემთხვევაში, მოხდეს თანამშრომელთა გაწევრიანება ექვთიმე თაყაიშვილის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში.

სხდომის თავმჯდომარე: ლავრენტი ჯანიაშვილი

სხდომის მდივანი: ლიანა ბითაძე

17. 05. 2019

თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს
2019 წლის 17 მაისის სხდომას ესწრებოდნენ
მთავარი მეცნიერი თანამშრომლები:

- გიორგი ჭეიშვილი
- ლევან გორდეზიანი
- მარიამ ჩხარტიშვილი
- ავთანდილ სონღულაშვილი
- ქეთევან ხუციშვილი
- როლანდ თოფჩიშვილი
- ლიანა ბითაძე
- გიორგი ქავთარაძე
- ვახტანგ გოილაძე
- ეკა კვაჭანტირაძე
- ვაჟა კიკნაძე
- დოდო ჭუმბურიძე
- ელდარ ბუბულაშვილი
- ნიკოლოზ ჯავახიშვილი
- ნინო მინდაძე
- ხათუნა იოსელიანი
- სალომე ოქრუაშვილი
- ლავრენტი ჯანიაშვილი